

## გამოფენა „ ნიკოლოზ ბარათაშვილი - 200“

26 სექტემბერს 14:00 საათზე ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (მის: თბილისი, გ. ჭანტურიას №8) გაიხსნება გამოფენა **„ ნიკოლოზ ბარათაშვილი - 200“**, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილეს ეძღვნება. გამოფენის ორგანიზატორები არიან კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ბარათაშვილის ბიოგრაფია, პუბლიცისტიკა, შემოქმედება, უბის წიგნაკები და სხვა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სამწერლობო მოღვაწეობა განისაზღვრა 12-ოდე წლით (მისი პირველი ლექსი თარიღდება 1833 წლის 18 მაისით და უკანასკნელი - 1845 წლის თებერვალ-მარტით). ასეთი მოკლე დროის განმავლობაში ამ გენიალურმა პოეტმა დაგვიტოვა ისეთი მემკვიდრეობა (ლექსები, პოემა, თარგმანები და პირადი წერილები), რომელთაც გაუთქვეს სახელი არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება 3 დღის განმავლობაში გაგრძელდება და რამდენიმე საჯარო ლექციას მოიცავს.

26 სექტემბერი - საჯარო ლექცია 1: „ტატოს ცხოვრება“ - მწერალი აკა მორჩილაძე

27 სექტემბერი - საჯარო ლექცია 2: ნიკოლოზ ბარათაშვილის თარგმანების პრობლემა - ლაშა ბაქრაძე, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი

28 სექტემბერი საჯარო ლექცია 3: „ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი“ - ლევან თაქთაქიშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი

ღონისძიება ტარდება მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში

**კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
**მარიამ ჯაბიძე** - 577 977 199; pr@manuscript.ac.ge - www.manuscript.ge
მის: თბილისი, მ. ალექსიძის 1/3